1/7/9/7

18-06-2019 წ.

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 174

ქ. თბილისი 14. 06. 201 წ.

„სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასთან" არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების დამტკიცების შესახებ" სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის N21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასთან" არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების დამტკიცების შესახებ" სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის N21 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12^1 მუხლი:

„მუხლის 12^1. დაწესებულების სამხედრო მოსამსახურე

1. დაწესებულების საშტატო განრიგით შეიძლება განისაზღვროს სამხედრო თანამდებობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. სამხედრო თანამდებობის მიმართ მოქმედებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები (მათ შორის, დანიშვნა, გათავისუფლება, შრომის ანაზღაურება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინება და სხვა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების კომპონენტებისა, სამხედრო მოსამსახურეზე ასევე გაიცემა წოდებრივი სარგო და სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა.

4. სამხედრო მოსამსახურეს შვებულებაში უშვებს და ქვეყნის შიგნით მივლინებაში წარგზავნის დაწესებულების დირექტორი.

5. სამხედრო მოსამსახურე, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს.".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი მაისიდან.

გენერალური დირექტორი უჩა ძოძუაშვილი

საამთო ინსტიტუტი
18. 06. 2019 წ.
N 698